ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბერის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში შეტანილი იქნეს ცვლილება და გაიზარდოს იგი: 6851,6 ათასი ლარით, მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით 6121,6 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს ,,გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების“ (ქვეპროგრამა 02 01 02) ქვეპროგრამაზე.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N53 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ 730,0 ათასი ლარით და მიიმართოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებებზე.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 25 286,4 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე